ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2025 | No. 6, 47-67

ISSN2667-9825(online)

მატრავმირებელი გამოცდილების გავლენა იდენტობის ფორმირებაზე

ვალერი არავიაშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The impact of traumatic experiences on identity formation

Valeri Aravishvili

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს განცდილი ტრავმის გავლენა იდენტობის ფორმირებაზე; გარდა ამისა, წარმოადგინოს ღმერთის რწმენის მოდერაციული ეფექტი შესწავლა მოცემულ ორ ცვლადს შორის. არსებულ თეორიებსა და მანამდე ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით ვივარაუდეთ, რომ განცდილ ტრავმას დადებითი გსვლენა უნდა ჰქონოდა უფრო კომპლექსური იდენტობის სტატუსების ჩამოყალიბებაზე. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარდა გამოკითხვა თვითადმინისტრირებადი კითხვარის საშუალებით, რომელიც 208 რესპონდენტმა შეავსო. კითხვარში გამოყენებულია მსოფლიოში ცნობილი და აპრობირებული ტრავმისა და იდენტობის საკვლევი ინსტრუმენტები. შედეგებმა აჩვენა, რომ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც უფრო ძლიერი ტრავმა განიცადეს, მეტად დახვეწილი იდენტობის სტატუსები ჰქონდათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღმერთის რწმენას, როგორც მოდერაციულ ცვლადს, არ ჰქონდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ამ ორი ცვლადის ურთიერთკავშირზე. მოცემული კვლევა ხელს უწყობს ტრავმისა და იდენტობის ფორმირების უფრო ფართო გაგებას - თუ როგორ აყალიბებს ცხოვრებისეული გამოცდილება იდენტობას - და ხაზს უსვამს ტრავმის ნიუანსურ გავლენას პიროვნულ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: *ტრავმა, იდენტობა, დახვეწილი იდენტობის სტატუსი, ღმერთის რწმენა*

Abstract

The aim of this study is to examine the impact of trauma on identity formation; in addition, to present a study of the moderating effect of belief in God between the two variables. Based on existing theories and previous research, we assumed that trauma should have a positive effect on the formation of more complex identity statuses. To test this hypothesis, a self-administered questionnaire was conducted, which was completed by 208 respondents. The questionnaire used world-renowned and proven trauma and identity research instruments. The results showed that respondents who experienced more severe trauma had more sophisticated identity statuses. However, it turned out that belief in God, as a moderating variable, did not have a statistically significant effect on the relationship between these two variables. This study contributes to a broader understanding of trauma and identity formation, how life experiences shape identity and highlights the nuanced impact of trauma on personal development.

Keywords*: trauma, identity, sophisticated identity status, belief in God*

ISSN2667-9825(online)

"ადამიანური არსებობის სოციალურ ჯუნგლებში, არ არსებობს ცოცხალად ყოფნის გრძნობა იდენტობის განცდის გარეშე."
ე. ერიკსონი

შესავალი

მთელი ჩვენ ცხოვრების განმავლობაში ვცდილობთ, გავიგოთ, ვინ ვართ - ეს *იდენტობის ფორმირების* ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია (Erikson, 1968). თუმცა, *ტრავმულმა* გამოცდილებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულ კვლევათა უმრავლესობა ფოკუსირებულია ტრავმის ისეთ უარყოფით შედეგებზე, როგორებიცაა ფსიქიკური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების გაზრდილი რისკი, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი და ა. შ. (Brown et al., 2009), ბოლო ათწლეულების განმავლობაში *პოსტ-ტრავმული ზრდის* ფაქტორებიც გამოიკვეთა, ანუ მატრავმირებელმა მოვლენამ შესაძლოა ინდივიდზე დადებითად იმოქმედოს (Calhoun & Tedeschi, 2006). ტრავმის შედეგად ამ მრავალფეროვანი შედეგების არსებობა იდენტობის კვლევებშიც აისახა. კვლევები მიუთითებს, რომ ტრავმამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იდენტობის ფორმირებაზეც მოახდინოს (Berman, 2016).

იდენტობის განვითარების მნიშვნელობა გამოკვეთილია ცნობილი ფსიქოლოგის, ერიკ ერიქსონის თეორიაში ადამიანის ფსიქოსოციალური განვითარების შესახებ. ის ფსიქოსოციალური განვითარების რვა საფეხურს გამოყოფს, რომელთაგან იდენტობის საკითხი მეხუთეა და მოზარდობის პერიოდში დგება. თუ წინა პერიოდების განვითარების ამოცანების გადაჭრა დადებითად არ მოხდა, შესაძლოა იდენტობის პრობლემაც ვერ გადაიჭრას (Erikson, 1968). ამ დროს ადამიანი როლების აღრევის მდგომარეობაშია, რაც მის არაადაპტურობასა და სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებს განაპირობებს.

ერიკსონის თეორიაზე დაყრდნობით, იდენტობის მკვლევარმა, ჯეიმს მარსიამ, გამოყო იდენტობის ოთხი სტატუსი: დიფუზური იდენტობა, წინასწარი იდენტობა, მორატორიუმი და მიღწეული იდენტობა. ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ იდენტობის ფორმირების გაგებაში. ჩამოთვლილი სტატუსები ორად შეიძლება დაიყოს: ნაკლებად დახვეწილი (წინასწარი იდენტობა, დიფუზური იდენტობა) და დახვეწილი (მიღწეული იდენტობა, მორატორიუმის იდენტობა) იდენტობის სტატუსები. მარსია იდენტობის სტატუსებს განსაზღვრავდა შემდეგ ორ ასპექტზე დაყრდნობით: კვლევისა და პასუხისმგებლობის აღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც იდეოლოგია და პროფესიაა. მისი თეორიის მიხედვით მრავალი კვლევა ჩატარდა. სწორედ მისი შრომების დამსახურებაა, რომ დღეს იდენტობის ემპირიული კვლევაა შესაძლებელი (Marcia, 1966).

ტრავმისა და იდენტობის ფორმირების ურთიერთკავშირის გასაგებად მრავალი კვლევა ჩატარდა, თუმცა შედეგები საკმაოდ *არაკონსისტენტურია* (Berman, 2016). კერძოდ, კვლევების ერთ ნაწილში აღნიშნულია, რომ მატრავმირებელ მოვლენებს უარყოფითი გავლენა აქვთ იდენტობის ფორმირებაზე, ხოლო მეორეში - ასეთ მოვლენებს ან არ აქვთ კავშირი იდენტობის ფორმირებასთან, ან ტრავმა პოსტ-ტრავმულ ზრდას განაპირობებს. არსებობს კვლევები, რომლებშიც საუბარია ამ ორი ცვლადის რეციპროკულ ურთიერთობებზეც (Webster & Deng 2015).

მოცემული კვლევის მიზანია ამ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლაში შესაბამისი წვლილის შეტანა. სამეცნიერო ლიტერატურაში მწირია კვლევები, რომლებშიც განცდილი ტრავმის კავშირი კონკრეტულად მარსიას მიერ შემოთავაზებულ იდენტობის სტატუსებთან მიმართებითაა ნაკვლევი. ნაშრომში გათვალისწინებული იქნება ღმერთის რწმენის ფაქტორიც, როგორც მოდერაციული ცვლადი, რადგან სხვადასხვა ავტორი უსვამს რელიიგის დადებით გავლენას განცდილ ტრავმასთან მიმართებით.

ISSN2667-9825(online)

ტრავმისა და მისი გავლენების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შესაბამისი პრევენცია თუ ინტერვენცია მოხდეს (Magruder et al., 2017). ხოლო კითხვაზე - რატომ მისი მიმართება იდენტობასთან? პასუხი ცალსახაა, იდენტობა განიხილება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფსიქიკურ კონსტრუქტად და იგი დიდ გავლენას ახდენს, როგორც ჩვენს მომავალ ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებზე, ასევე იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ არსებულ რეალობას (Erikson, 1968).

რომ შევაჯამოთ, ტრავმა ძლიერ გავლენას ახდენს ინდივიდის მომავალ ცხოვრებაზე. იდენტობა კი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი კონსტრუქტია, რომელიც მას საზოგადოებაში მოქმედებისა და თვითგამოხატვისათვის საშუალებას აძლევს. ამ ორი ცვლადის ურთიერთმიმართების გაგება ძალზედ მნიშვნელოვანია შესაბამისი პრევენციისა თუ ინტერვენცისათვის. მიუხედავად მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, არსებული კვლევების შედეგები ურთიერთგამომრიცხავია. შესაბამისად, საკითხის უკეთ შესწავლაა საჭირო.

ტრავმა

ტრავმის შესახებ ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია ზიგმუნდ ფროიდის „სიამოვნების პრინციპის მიღმა“ (1920), სადაც მან შემოიტანა ტრავმული ნევროზის ცნება და განიხილა, თუ როგორ შეიძლება ტრავმულმა გამოცდილებამ გამოიწვიოს ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ეფექტები. ფროიდის იდეებმა საფუძველი ჩაუყარა ტრავმის გაგებას, როგორც მოვლენას, რომელიც აჭარბებს ინდივიდის დაძლევის უნარს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას (Freud, 1920). უნდა ითქვას, რომ ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის მიერ ტრავმის განმარტება (2015), დიდად არ განსხვავდება ფროიდის მიერ შემოთავაზებულისაგან:

> ნებისმიერი შემაშფოთებელი გამოცდილება, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან შიშს, უმწეობას, დისოციაციას, დაბნეულობას ან სხვა დამაზიანებელ გრძნობებს, საკმარისად მძაფრს, რომ იქონიოს ხანგრძლივი ნეგატიური გავლენა პირის დამოკიდებულებებზე, ქცევასა და ფუნქციონირების სხვა ასპექტებზე... (გვ. 1104).

ფროიდის იდეებზე დაყრდნობით, ვან დერ კოლკმა (1987, 1989), ტრავმის უარყოფითი გავლენა ისეთ ცვლადებთან მიმართებით იკვლია, როგორებიცაა: მეხსიერება, დისოციაცია და ემოციების რეგულირება. შესაბამისად, ტრავმის ცნება, როგორც საკუთარი მე-სა (Self) და მნიშვნელობის დარღვევა, ხაზს უსვამს მის ღრმა და არასასურველ ფსიქოლოგიურ შედეგებს (Herman, 1997). ტრავმული მოვლენები მოიცავს გამოცდილების ფართო სპექტრს, მათ შორის სტიქიურ კატასტროფებს, ადამიანთა შორის ძალადობას, უბედურ შემთხვევებსა და ომებს (The Psychodynamic Formulation Collective, 2022). ასევე, ტრავმა შეიძლება იყოს როგორც პიროვნული - პირდაპირ გავლენას ახდენს ინდივიდებზე, ასევე კოლექტიური - გავლენას ახდენს ადამიანთა ჯგუფებზე (Jones, 2023).

ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში, ტრავმას ადამიანთა უმეტესი ნაწილი განიცდის (Benjet et al., 2016; Burri & Maercker, 2014). მისი გავლენა ინდივიდზე ძალიან დიდი ხანია, რაც მკვლევართა ინტერესის საგანია. მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგად დადასტურდა ტრავმის არასასურველი ზემოქმედება ინდივიდის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. მაგალითად, არსებობს კვლევები, სადაც საუბარია იმაზე, რომ ტრავმული გამოცდილება კავშირშია ფსიქო-ფიზიკურ დავადებებსა და ნაადრევ სიკვდილიანობასთან (Brown et al., 2009; Felitti et al., 1998). გარდა ამისა, ბავშვობისას განცდილი ტრავმული გამოცდილება ასოცირდება ნეგატიურ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ემოციურ შედეგებთან (Dye, 2018), რაც ხაზს უსვამს ადრეული ასაკში განცდილი ტრავმების გრძელვადიან გავლენებს.

ISSN2667-9825(online)

ტრავმასა და ფსიქიკურ დაავადებებს შორის ურთიერთკავშირმა ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო მკვლევართა საზოგადოებაში. სხვადასხვა კვლევით გამოვლინდა რთული ურთიერთქმედება ტრავმულ გამოცდილებასა და ფსიქიკურ აშილობებს შორის. ტრავმა წარმოადგენს ფსიქიკური აშლილობის განვითარებისა და გამწვავების მნიშვნელოვან რისკფაქტორს (McLaughlin et al., 2012; McLaughlin et al., 2013). სიცოცხლისათვის საშიშ მოვლენებთან კავშირმა შეიძლება, გავლენა იქონიოს ისეთი მძიმე ფსიქიკური დარღვევების გამოვლენაში, როგორიცაა პოსტტრავმული სტრესული და პიროვნული დისოციაციური აშლილობები (Alghamdi, 2023). მან, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს კულტურული შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის ცვლილებები, რაც პოტენციურად, სოციალურ გარიყულობასთანაა კავშირში (Biruski, 2014).

ტრავმის ფართო გავლენის აღიარებით, მკვლევარები სულ უფრო მეტად განიხილავენ მას, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას. ისინი ხაზგასმით საუბრობენ პრევენციული ინტერვენციების აუცილებლობაზე ტრავმის ყოვლისმომცველი ეფექტის აღმოსაფხვრელად (Magruder et al., 2017). შესაბამის ინიციატივებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, შეუძლიათ შეამსუბუქონ ტრავმული მოვლენების დამაზიანებელი შედეგები (Magruder et al., 2017). აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი სტრატეგიების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს ტრავმის თავიდან აცილებასა და დაზარალებულთათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

იმ მკველვართაგან განსხვავებით, რომლებიც ტრავმის ნეგატიურ შედეგებზე აკეთებენ აქცენტებს, პოსტტრავმული ზრდის კონცეფციის ავტორები ტრავმის დადებით პოტენციალსა და შედეგებზე საუბრობენ (Calhoun & Tedeschi, 2006; Tedeschi & Calhoun, 1996, 2004). პოსტტრავმული ზრდა გულისხმობს პოზიტიურ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც ინდივიდებმა შეიძლება განიცადონ ტრავმული მოვლენების დაძლევისა და დამუშავების შედეგად (Tedeschi & Calhoun, 1996). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმამ უდავოდ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დისტრესი, მას ასევე აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს გამძლეობას, პიროვნულ ზრდასა და სხვა პოზიტიურ ცვლილებებს.

რომ შევაჯამოთ, მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ტრავმის ზოგადი გავლენა ინდივიდზე უფრო მეტად დამაზიანებელია, ვიდრე დადებითი შედეგების მომტანი. მაგრამ, ამასთანავე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ტრავმას შესაძლოა დადებითი შედეგებიც მოჰყვეს პიროვნებისათვის. როგორც არ უნდა ვიმსჯელოთ, ფაქტი ერთია - ტრავმას ძალიან კომპლექსური გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკაზე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიმართება იდენტობის ფორმირებასთან არაერთხელ ყოფილა მეცნიერთა კვლევის საგანი, კვლევის შედეგები მაინც არათანმიმდევრულია და უკეთ შესწავლას საჭიროებს.

იდენტობა

როგორც შესავალში უკვე აღინიშნა, ერიკ ერიქსონი და ჯეიმს მარსია, ორი გავლენიანი ფიგურაა განვითარების ფსიქოლოგიის სფეროში, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იდენტობის ფორმირების გაგებაში. მარსიას თქმით (2001), ერიქსონმა (1959) სხვადასხვა დროს იდენტობის სხვადასხვა განმარტება შემოგვთავაზა, მაგრამ ქვემოთ მოცემული ყველაზე სრულყოფილია:

> ეს (იდენტობა) არის შინაგანი კაპიტალი, რომელიც დაგროვდა ყველა წარმატებულად გავლილი ეტაპის შემდგომ მიღებული გამოცდილებებიდან, როდესაც გააზრებულმა იდენტიფიკაციამ განაპირობა მისი ძირითადი მიდრეკილებების წარმატებული შეთანხმება მის უნარებსა და შესაძლებლობებთან... (გვ. 94)

ISSN2667-9825(online)

ერიქსონი, ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის ავტორია. მან მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე პროცესები აღწერა და რვა მთავარი სტადია გამოყო. ამ მოდელში, თითოეული ეტაპი განვითარების უნიკალური ამოცანებით ხასიათდება. იდენტობის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ერიქსონის *მეხუთე სტადიას* ენიჭება - *იდენტობა როლების აღრევის წინააღმდეგ*, რომელიც მოზარდობისას ვლინდება. ამ ეტაპზე ინდივიდებს მრავალი კითხვა უჩნდებათ საკუთარი იდენტობის შესახებ, ისინი ცდილობენ, ჩამოიყალიბონ თანმიმდევრული იდენტობის განცდა, რომელიც მე-ს სხვადასხვა ასპექტს აერთიანებს. ერიკსონის აზრით, რაშიც მარსიაც ეთანხმებოდა (2001), თუ სხვა სტადიაზე არსებული საკითხების გადაწყვეტა ვერ მოხდა შესაბამისად, ეს მომავლში იდენტობის ფორმირებაზეც აისახება (Erikson, 1968). ერიქსონმა, თავისი ნაშრომებით (1956, 1959, 1968), მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა იდენტობის უკეთ გაგებასა და განვითარების შემდგომ კვლევებს.

ჯეიმს მარსიამ, ერიქსონის თეორიაზე დაყრდნობით, შემოგვთავაზა იდენტობის სტატუსების თეორია, რომლითაც იდენტობის განვითარების სხვადასხვა ტიპებს აღწერს (Marcia, 1966, 1993, 2002). მარსიამ იდენტობის ოთხი სტატუსი გამოყო, რომლებიც პროფესიის, რწმენისა და ურთიერთობების ასპექტებში ორ ძირითად განზომილებას ეფუძნება: *კვლევასა* და *ვალდებულებას,* ანუ,~ მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის იდენტობა აღნიშნულ სამ სფეროში (პროფესიაში, ღირებულებებში და ურთიერთობებში) ეფუძნება ინდივიდში კვლევის არსებობა-არარსებობისა და ვალდებულების აღება-არ აღების ფაქტორებს.

მარსიას მიერ გამოყოფილი ოთხი იდენტობის სტატუსია:

დიფუზური იდენტობა - ასეთი იდენტობის სტატუსის მქონენი ხასიათდებიან როგორც *კვლევის,* ასევე *ვალდებულების* არქონით. ისინი ჯერ კიდევ არ არიან ჩართულნი თავიანთი იდენტობის შესწავლაში და შეიძლება გრძნობდნენ გაურკვევლობას ან გულგრილობას მათი სამომავლო მიზნებისა და ღირებულებების მიმართ.

წინასწარი იდენტობა - ასეთი სტატუსის მქონენი იღებენ *ვალდებულებებს კვლევის* გარეშე. ისინი ხშირად ითვისებენ სხვების ღირებულებებსა და რწმენებს (მაგ., მშობლების ან თანატოლების) მათი კრიტიკული შეფასების გარეშე.

მორატორიუმი - ამ სტატუსის მქონე ადამიანები აქტიურად *იკვლევენ* სხვადასხვა ღირებულებებსა თუ რწმენებს, მაგრამ ჯერ არ აუღიათ მტკიცე *ვალდებულებები.* ისინი შეიძლება განიცდიდნენ იდენტობის კრიზისს - აწუხებდეთ კითხვები იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი და რა სურთ ცხოვრებისაგან.

მიღწეული იდენტობა - ეს სტატუსი წარმოადგენს იდენტობის განვითარების კულმინაციას, რომელშიც ინდივიდებმა *გამოიკვლიეს* სხვადასხვა ვარიანტები და აიღეს *ვალდებულებები* საკუთარი ღირებულებებისა და რწმენების საფუძველზე.

აღნიშნული სტატუსების ტიპოლოგიაში იდენტობის სტატუსები, ნაკლებად დახვეწილიდან ყველაზე დახვეწილამდე, შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული: *დიფუზური იდენტობა, წინასწარი იდენტობა, იდენტობის მორატორიუმი და მიღწეული იდენტობა.* ნაკლებად დახვეწილ იდენტობაში ერთიანდება დიფუზური და წინასწარი იდენტობები, ხოლო დახვეწილში -მორატორიუმი და მიღწეული იდენტობები (Bishop et al., 1997).

მარსიას იდენტობის სტატუსები დღესაც არ კარგავს აქტუალობას და მეცნიერთა ნაწილი კვლავ იკვლევს ამ სტატუსების მიმართებას ისეთ ფსიქოლოგიურ კონსტრუქტებთან, როგორებიცაა: თვითშეფასება, მორალური მსჯელობა, ეგოს განვითარება და ავტორიტარიზმი. კვლევების მიხედვით, დახვეწილი იდენტობის სტატუსები (მიღწეული იდენტობა, მორატორიუმი) დაკავშირებულია ისეთ დადებით შედეგებთან, როგორიცაა მაღალი თვითშეფასება (Ryeng et al., 2013a), პოსტკონვენციური მორალური მსჯელობა (Jespersen et al., 2013a) და ეგოს განვითარების პოსტ-კონფორმისტული ეტაპები (Jespersen et al., 2013b). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ

ISSN2667-9825(online)

წინასწარი იდენტობის მქონეები, სხვა იდენტობის სტატუსებთან შედარებით, უფრო მაღალ ქულებს იღებენ ავტორიტარიზმის სკალაზე (Ryeng et al., 2013b). გარდა ამისა, ემპირიული მონაცემები ასახავს, რომ ქალებს უფრო მეტად იდენტობის მორატორიუმის სტატუსი აქვთ, ხოლო მამაკაცებს წინასწარი იდენტობის (Sarouphim, 2017). აღნიშნული შედეგები მიანიშნებს იდენტობის ფორმირებასა და სხვადასხვა ფსიქოლოგიურ განზომილებებს შორის რთულ ურთიერთკავშირზე. ასევე, ისინი ხაზს უსვამენ იდენტობის პარადიგმის გაგების მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში.

რომ შევაჯამოთ, მიუხედავად იმისა, რომ ერიკსონი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც იდენტობის პრობლემას სიღრმისეულად შეეხო, მარსიამ ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმად შეისწავლა. მან ოთხი სხვადასხვა ტიპი გამოყო და დაახასიათა. თანამედროვე ნაშრომებში მეცნიერები აქტიურად იკვლევენ სხვადასხვა ცვლადის მიმართებას იდენტობის სტატუსებთან და მიანიშნებენ ამ უკანასკნელის უკეთ გაგების აუცილებლობაზე. რადგან ერიკსონიცა და მარსიაც თანხმდებოდნენ წინარე სტადიების შეფერხების შესაძლო უარყოფით გავლენებზე იდენტობის ფორმირებისას, კვლევა იმისა, თუ როგორ გავლენას მოახდენს გადატანილი ტრავმა მასზე, საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ტრავმისა და იდენტობის ურთიერთკავშირი

ტრავმასა და იდენტობას შორის არსებული ურთიერთკავშირი დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. შესაბამისად, აღნიშნულ თემაზე, მრავალი კვლევაც ჩატარდა (Berman, 2016; Berman et al., 2020). უნდა აღინიშნოს, რომ კვლევათა შედეგების უმეტესობა ერთმანეთთან არათავსებადია. თუ მათი ერთი ნაწილი ხაზს უსვამს ტრავმის უარყოფით შედეგებს იდენტობის ფორმირებაზე, მეორე მის დადებით შედეგებსა და პოსტ-ტრავმულ ზრდაზე საუბრობს. არსებობს, სხვა, ამ ორისაგან განსხვავებული ემპირიული შედეგებიც, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მრავალი მკვლევარი მიუთითებს ტრავმის უარყოფით გავლენებზე იდენტობის ფორმირებისას (Guler, 2014; Sandole & Auerbach, 2013; Shalka, 2019; Scott et al., 2014; Wiley, 2011). მაგალითად, ომისა და კონფლიქტის ზემოქმედება, უარყოფითადაა დაკავშირებული იდენტობის განვითარებასთან, ხოლო დადებითად - იდენტობის დისტრესთან (Guler, 2014). ასევე, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ექსტრემალური ტრავმის გამოცდილება, როგორიცაა გენოციდი, გავლენას ახდენს გადარჩენილთა იდენტობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე (Sandole & Auerbach, 2013). ვხვდებით ისეთ კვლევებსაც, რომლელშიც იდენტობის დისტრესი დადებითადაა დაკავშირებული ასაკთან, ბუნებრივ კატასტროფებთან, პოსტ-ტრავმული აშლილობის სიმპტომებთან და სხვა ინტერნალიზებულ პრობლემებთან (Scott et al., 2014). დაბოლოს, აღმოჩნდა, რომ ტრავმული სტრესის ზემოქმედება დაკავშირებულია იდენტობის დისტრესთან (Wiley, 2011). მთლიანობაში, აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ტრავმის გავლენა იდენტობის ფორმირებაზე საკმაოდ ძლიერი და დამაზიანებელია.

არსებობს მკვლევართა მეორე ნაწილი, რომლებიც ტრავმის დადებით შედეგებზეც საუბრობენ, ანუ მათი მიხედვით, ტრავმამ შესაძლოა იდენტობის ფორმირებაზე დადებითად იმოქმედოს (Abu-Ras et al., 2013; Berger, 2015). მაგალითად, თავდაპირველი უარყოფითი შედეგების მიუხედავად, 11-მა სექტემბერმა (ტრავმული მოვლენა) გამოიწვია სხვა დადებითი ცვლილებები რესპონდენტთა რელიგიურ იდენტობაში და ხელი შეუწყო მათ მომავალ ადაპტურ ქმედებებს (Abu-Ras et al., 2013). ასევე, სხვა ჩატარებული კვლევებიც მიუთითებს ტრავმის შემდგომ პოსტტრავმული ზრდის მაღალ ალბათობასა და იდენტობაზე მის (ტრავმის) პოტენციურ დადებით გავლენაზე (Berger, 2015). უნდა ითქვას, რომ კვლევათა რაოდენობა, რომლებიც გადატანილი ტრავმის შემდეგ იდენტობის ფორმირების დადებით შედეგებზე საუბრობენ,

ISSN2667-9825(online)

საკმაოდ მზარდია, რაც კიდევ უფრო რთულსა და კომპლექსურს ხდის ტრავმისა და იდენტობის ურთიერთმიმართების გაგებას.

გარდა ზემოხსენებულისა, არის ნაშრომები, სადაც ტრავმისა და იდენტობის ურთიერთგავლენის მნიშვნელობაზეცაა ყურადღება გამახვილებული - როგორც მატრავმირებელი გამოცდილება შეიძლება ზემოქმედებდეს იდენტობაზე, ასევე იდენტობამაც შეიძლება განაპირობოს მატრავმირებელი მოვლენის სპეციფიკური აღქმა (Berman, 2016). ასეთ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიმართება ტრავმასა და იდენტობას შორის რეციპროკულია.

დაბოლოს, ერთ-ერთ უახლეს ნაშრომში, რომელშიც მოცემული კვლევისათვის საინტერესო ცვლადების ურთიერთგავლენა იკვლიეს - ტრავმული გამოცდილებების კავშირი იდენტობის სტატუსებთან - ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა (Truskauskaite-Kuneviciene et al., 2020). დაახლოებით იგივე შედეგები მიიღეს სხვა კვლევაშიც - კავშირი ტრავმულ მოვლენებსა და იდენტობის ცვლილებას შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (de Moor et al., 2019).

ღმერთის რწმენა, როგორც მოდერაციული ცვლადი

არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ტრავმა ცხოვრების რადიკალურად შემცვლელი გამოცდილებაა, მან შეიძლება ინდივიდებში ისეთი შედეგები გამოიწვიოს, როგორებიცაა: ემოციური დისტრესი, უარყოფითად შეცვლილი მსოფლმხედველობა, საკუთარი თავის ფრაგმენტული აღქმა და სხვა, უფრო მძიმე, ფსიქიკური აშლილობებიც (Brown et al., 2009; Dye, 2018; Felitti et al., 1998; McLaughlin et al., 2012). თუმცა, ღმერთის რწმენა, აღიარებულია, როგორც პოტენციურად მნიშვნელოვანი შუამავალი ცვლადი ტრავმასთან გამკლავებისას (Pargament & Mahoney, 2002; Magin et al., 2021).

ღმერთის რწმენის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო წვლილი მდგომარეობს მის უნარში, რომ ჩამოაყალიბოს შედარებით დადებითი ინდივიდუალური აღქმა ტრავმის შესახებ. შესაბამისად, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ღმერთის ძლიერი რწმენა დაკავშირებულია ტრავმული გამოცდილების ნაკლებად მძიმე შეფასებასთან (Pargament, 2011). ტრავმის ეს გადააზრება (Reframing) საშუალებას აძლევს ინდივიდებს, შეინარჩუნონ კონტროლის გრძნობა და ხელს უწყობს მათ უფრო პოზიტიურ მსოფლმხედველობას, რაც, ტრავმის შემდეგ, შეიძლება გადამწყვეტი იყოს იდენტობის განვითარების ჯანსაღი პროგრესისთვის (Satchel et al., 2023).

გარდა ამისა, ღმერთის რწმენა ეხმარება გონებრივი სიცხადისა და ემოციური რეგულაციის პროცესებს. რელიგიური და/ან სულიერი შეხედულებები ინდივიდებს აძლევს საშუალებას რთული ემოციების გაგებისა და დამუშავებისათვის (Pargament, 2011). ასეთი აღქმა გვთავაზობს მნიშვნელობისა და თანმიმდევრულობის განცდას ტრავმის ფონზე, ანაცვლებს იზოლაციისა და სასოწარკვეთის გრძნობებს კომფორტით, მხარდაჭერითა და უფრო მაღალ ძალასთან კავშირით (Pargament, 2011). ეს კავშირი, თავის მხრივ, აძლევს ინდივიდებს საშუალებას, ეფექტურად დაარეგულირონ ემოციური დისტრესი, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ტრავმულ მოვლენებთან.

რწმენის გავლენა სცილდება ემოციურ კეთილდღეობას და მნიშვნელოვნად მოქმედებს ინდივიდის იდენტობის ფორმირებაზე (Oppong, 2013). რწმენამ შეიძლება შექმნას საფუძველი ჯანსაღი თვითშეფასებისა და ცხოვრებისეული მიზნებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ასპექტები ეჭვქვეშ დგება განცდილი ტრავმის შემდგომ. მას შეუძლია, უზრუნველყოს უფრო ფართო მიკუთვნილობის განცდა საზოგადოებისადმი და ხელი შეუწყოს სოციალურ მხარდაჭერას.

აღნიშნული კვლევები გამოკვეთს ღმერთისადმი რწმენის ტრანსფორმაციულ ძალას განცდილი ტრავმის შემდეგ. რწმენა მოქმედებს როგორც მრავალმხრივი დაძლევის მექანიზმი, რომელიც

ISSN2667-9825(online)

გავლენას ახდენს აღქმაზე, ემოციურ რეგულაციაზე და, რაც მთავარია, იდენტობის რეკონსტრუქციაზე. ამ ფენომენის შესწავლა, როგორც მოდერაციული ცვლადისა, დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ ტრავმისა და იდენტობის ფორმირების კომპლექსური ურთიერთმიმართება.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მიზანია, შეისწავლოს განცდილი ტრავმის გავლენა იდენტობის ფორმირებაზე და ასევე, რელიგიის მოდერაციული გავლენა ამ ურთიერთკავშირზე.

კვლევის ძირითადი კითხვები

1. რა აკავშირებს ტრავმული გამოცდილების ხარისხს დახვეწილი იდენტობის სტატუსის ფორმირებასთან?
2. როგორ ზემოქმედებს რელიგია ტრავმისა და ოდენტობის ფორმირების ურთიერთკავშირზე.

კვლევის ძირითადი კითხვებიდან გამოიკვეთება ჰიპოთეზები

1. ძლიერი/ინტენსიური მატრავმირებელი გამოცდილება პოზიტიურად იქნება დაკავშირებული მეტად დახვეწილ იდენტობის სტატუსებთან (მორატორიუმის იდენტობა, მიღწეული იდენტობა).
2. ტრავმული გამოცდილებისა და იდენტობის სტატუსების ფორმირების ურთიერთკავშირში რელიგიას მოდერაციული ეფექტი ექნება (იხ. ილუსტრაცია №1)

ილუსტრაცია №1

ღმერთის რწმენა, როგორც მოდერაციული ცვლადი



კვლევის შერჩევის აღწერა

კვლევაში მონაწილეობა 208 რესპონდენტმა მიიღო. რესპონდენტებიდან 169 (81.3%) იყო ქალი, ხოლო 39 (18.7%) მამაკაცი. რესპონდენტთა ასაკი 18-დან 66 წლამდე ვარირებდა. ხოლო, მათი საშუალო ასაკი 23 წელი იყო. რესპოდენტთა 74.5% უმაღლესი განათლების მქონეა, კერძოდ 63% ბაკალავრის, 10.1% მაგისტრის ხარისხის, ხოლო დარჩენილი 1.4% დოქტორის ხარისხის. რესპოდენტთა ღმერთის რწმენის საშუალო მაჩვენებელია 3.08. მათი უმეტესობა, 81.3% მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო 16.8% არცერთი რელიგიის მიმდევრად არ მიიჩნევს თავს (ცხრილი №1).

ISSN2667-9825(online)

ცხრილი №1
რელიგიურობის აღწერითი სტატისტიკა (N=208)

	რაოდენობა	**პროცენტი**
ქრისტიანი (მართლმადიდებელი)	169	81.3
ქრისტიანი (კათოლიკე)	1	.5
მუსლიმი	1	.5
აგნოსტიკი	2	1.0
არცერთს რელიგიის მიმდევარი	35	16.8

კვლევის ინსტრუმენტები

კითხვარი შედგებოდა ქვემოთ მოცემული 3 სკალისგან, რომელთაგან პირველი დემოგრაფიულ მონაცემებს ზომავდა, მეორე - მატრავმირებელი გამოცდილების სიხშირეს, ხოლო მესამე - იდენტობის სტატუსს.

დემოგრაფიული ბლოკი

მონაწილეები ავსებდნენ ინფორმაციას საკუთარი სქესის, ასაკისა და მიღებული განათლების უმაღლესი დონის შესახებ. ასევე რესპონდენტები პასუხობდნენ კითხვას მათი რელიგიურობის შესახებ *(„რომელ აღმსარებლობას მიაკუთვნებთ საკუთარ თავს?“).* დამატებით, რესპონდენტები ლაიკერტის 5 ქულიანი სკალის გამოყენებით (სადაც 1 ნიშნავს - სრულიად არ ვგრძნობ და 5 - მაქსიმალურად ვგრძნობ) აფასებდნენ საკუთარ რწმენას ღმერთის მიმართ *(„რამდენად ღმერთის მორწმუნედ გრძნობთ თავს?“).*

ბავშვობაში არასასურველი გამოცდილების საკვლევი კითხვარი

კვლევაში გამოყენებულია ბავშვობაში არასასურველი გამოცდილების საკვლევი 10 დებულებიანი კითხვარი (ACEs), (Felitti et al., 1998).

სკალა შეიცავდა 10 კითხვას ბავშობაში გადატანილი ტრავმების შესახებ *(„თქვენს სახლში მშობლებს ან სხვა ზრდასრულებს როდესმე დაურტყამთ, უცემიხართ ან მოუყენებიათ რაიმე სხვა სახის ფიზიკური შეურაცხყოფა?“; „გიგრძვნიათ, რომ თქვენს ოჯახში არავის უყვარდით ან ფიქრობდნენ, რომ არაფრით იყავით განსაკუთრებული?“).* შერჩევის საშუალოზე დაბალი ქულის მქონე რესპონდენტები მიეკუთვნებოდნენ დაბალი ტრავმის მატარებელთა ჯგუფს, ხოლო საშუალოზე მაღალი ქულის მქონენი, როგორც მაღალი ტრავმის მატარებელს. აღნიშნულ კვლევაში სკალის შინაგანი შეთანხმებულობა იყო საშუალო (α=.685)

ეგოს იდენტობის სტატუსის გაფართოებული ობიექტური კითხვარი

კვლევაში გამოვიყენეთ ეგო იდენტობის სტატუსის გაფართოებული ობიექტური კითხვარი (EOM-EIS II), (Bennion & Adams 1986).

აღნიშნული კითხვარი ოთხი ქვესკალისაგან შედგებოდა. ესენია: დიფუზური იდენტობა *(„არ ამირჩევია ის პროფესია, რომელსაც ნამდვილად მსურს გავყვე და უბრალოდ ვმუშაობ ყველაფერზე, სანამ რაიმე უკეთესი გამოჩნდება“; „რომანტიკული ურთიერთობის სტილზე“ არ მიფიქრია. ნამდვილად არ მაინტერესებს, მექნება თუ არა პაემანი“);* წინასწარი იდენტობა *(„ჩემმა მშობლებმა იციან, თუ რა არის ჩემთვის საუკეთესო მეგობრების არჩევის თვალსაზრისით“; „როცა საქმე პოლიტიკას ეხება, ვფიქრობ, ძალიან ვგავარ ჩემს მშობლებს. მივყვები მათ არჩევანს როგორც ხმის მიცემის კუთხით, ასევე სხვა მსგავს საკითხებშიც“);* მორატორიუმის იდენტობა (*„არ ვიცი*

ISSN2667-9825(online)

რას ნიშნავს ჩემთვის რელიგია. მინდა გადავწყვიტო ეს საკითხი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოკვლევის პროცესში ვარ“) და მიღწეული იდენტობა *(„მეგობრობის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ, მე ჩემს ახლო მეგობრებს ვირჩევ იმ გარკვეული ღირებულებებისა და მსგავსების საფუძველზე, რომელსაც პირადად ვანიჭებ უპირატესობას“; „წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მე ავირჩიე ის რომანტიკული ურთიერთობის ტიპი, რომელიც ახლა მინდა რომ მქონდეს/მაქვს“).* კითხვარი სულ 40 კითხვისაგან შედგებოდა, აქედან თითოეულ ქვესკალას 10 კითხვა მიეკუთვნებოდა. რესპონდენტები კითხვებს ლაიკერტის ტიპის სკალაზე პასუხობდნენ, რომელშიც 1 ნიშნავდა „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო 5 - „სრულიად ვეთანხმები“. აღნიშნულ კვლევაში სკალის შინაგანი შეთანხმებულობა საშუალო იყო (α=.682).

აღნიშნულ იდენტობის სტატუსებს შორის არსებული კორელაციები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი №2

კორელაციის კოეფიციენტები

ცვლადი	**1**	**2**	**3**	**4**
1. დიფუზური იდენტობა	-			
2. წინასწარი იდენტობა	.261**	-		
3. მორატორიუმი	.205**	.091	-	
4. მიღწეული იდენტობა	-.359**	-.110	-.057	-

შენიშვნა: *N = 208.* **კორელაციის მნიშვნელობა 0.01 დონეზე (2-tailed). **კორელაციის მნიშვნელობა 0.05 დონეზე (2-tailed).*

პროცედურა

მონაცემები თვითადმინისტრირებადი ონლაინ კითხვარის საშუალებით შეგროვდა, რომელიც Google Forms-ში აეწყო. კითხვარის ბმული რესპონდენტებს გაეგზავნათ სოციალური ქსელების, ელ-ფოსტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით. მათ ეგზავნებოდათ პირადი შეტყობინება კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებით, ან შეეძლოთ ენახათ სოციალური ქსელის პლათფორმაზე განთავსებული პოსტი და გადასულიყვნენ მითითებულ ბმულზე. მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ასაკი, კერძოდ, რესპონდენტი უნდა ყოფილიყო სრულწლოვანი. მონაწილეები ხელმისაწვდომობის პრინციპით შეირჩნენ.

